„ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“

ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრისა (ჰაბი) და ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორია - "ჯეოლაბის" ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, გრძელდება საერთაშორისო პროექტი **„ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“**, რომელსაც საფუძველი გასულ წელს ჩაეყარა. ის მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით მონაწილეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2021 წელს ჩატარებული საზაფხულო სკოლა განკუთვნილი იყო ქართველი და ევროპელი ბავშვებისთვის. ხოლო ამჯერად, საზაფხულო სკოლა ჩატარდება **სპეციფიურად ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდებისთვის.**

უკრაინაში მიმდინარე ომის პირობებში, საქართველოში მყოფი უკრაინელი ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ განაგრძონ სწავლა, განვითარება, თანატოლებთან ურთიერთობა და ახალი მეგობრების შეძენა.

საზაფხულო სკოლის კურსები შემუშავებულია გამოცდილი ლექტორების მიერ და თეორიული ცოდნის გარდა, პრაქტიკულ სემინარებსაც მოიცავს.

აქტივობები განხორციელდება ორ კომპონენტად: ვორქშოფების სერია „ჯეოლაბში“ (ფიზიკურ სივრცეში) და ლექციები დისტანციურად.

საზაფხულო სკოლა ახალგაზრდებს სთავაზობს მოკლევადიან კურსებს შემდეგი მიმართულებით:

- *Technical and Creative conceptualization*
- *Front end web development HTML, CSS*
- *UI/UX design - web design*
- *Graphic design*
- *Arduino*
- *Scratch*
- *Unity*

მონაწილეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი, რამდენიმე ან ყველა მითითებული კურსი.

მონაწილეები გადანაწილდებიან შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში: 8 - 13; 14 -19; 20 - 25

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდია ივლისი - აგვისტო, 2022

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 30 ივნისი 2022 წელი

ადგილმდებარეობა:

- ონლაინ ლექციები - Google meet
- ვორქშოპი - ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორია „ჯეოლაბი“ - მ. ალექსიძის #10, თბილისი, საქართველო

სამუშაო ენა: ინგლისური

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ ბმულზე მოცემული სარეგისტრაციო ფორმა:

https://forms.gle/QoUsp44b4pGGhAUh6

ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.